ნათია ზედგინიძე

ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქ-ტორანტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ-მკვლევარი

თამარ ორჯონიკიძე

ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქ-ტორანტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ-მკვლევარი

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები საქართველოში: კონკურენტული ავტორიტარიზმის ანატომია

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია საქართველოს 2018 წლის საპრეზი-დენტო არჩევნების შედეგები კონკურენტული ავტორიტარიზმის თეორიის საფუძველზე. კერძოდ, ნაჩვენებია კონკურენტული ავ-ტორიტარიზმის არსის გამომხატველი ორი მნიშვნელოვანი ასპექ-ტი: ხელისუფლებისა და ოპოზიციის უთანასწორობა საარჩევნო ფინანსების მოზიდვის თვალსაზრისით და საარჩევნო კამპანიის დროს საარჩევნო სუბიექტების ქცევის ეთიკური პრინციპების ამ-სახველი დოკუმენტის შემუშავების წარუმატებელი მცდელობა.

სტატიას საფუძვლად დაედო ელექტრონულ და ბეჭდურ მე-დიაში გამოქვეყნებული მასალები საარჩევნო კამპანიის ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით, ასევე ინტერვიუები საპრეზიდენტო კანდიდატების ქცევის ეთიკური პრინციპების დოკუმენტის შემუ-შავებაში ჩართულ პირებთან.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, კონკურენტული ავტორიტარიზმი, არჩევნები, დემოკრატიზაცია.

შესავალი

დღეისათვის საქართველო, დემოკრატიზაციის თვალსაზრისით, ჰიბრიდული რეჟიმების ერთ-ერთ სახეობას - კონკურენტული ავტორიტარიზმის ქვეყნების ჯგუფს მიეკუთვნება. კონკურენტული ავტორიტარიზმის თეორიის თანახმად,[1] ასეთი რეჟიმი მართალია ავტორიტარულია, მაგრამ ცდილობს მაქსიმალურად დაემსგავსოს დემოკრატიას, დაშვებულია ოპოზიცია, რომლისთვისაც მისაწვდომია მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, არსებობს სიტყვის თავისუფლება, არჩევნების დროს არსებობს რეალური კონკურენცია და მრავალი დემოკრატიული სტანდარტი დაცულია, მაგრამ მთლიანობაში არჩევნები უსამართლოდ ტარდება და მმართველი პოლიტიკური ძალა, როგორც კი იგრძნობს ხელისუფლების დაკარ-

[1] კონკურენტული ავტორიტარიზმის გააზრებისას ვემყარებით დაიმონდის (Diamond, L. 2002. *Thinking About Hybrid Regimes),* ლევიცკისა და ვეის (Levitsky, S & Way, L. 2010. *COMPETITIVE AUTHORITARIANISM: The Origins and Dynamics of Hybrid Regimes in the Post-Cold War Era)*, მორლინოს (Morlino, L. 2008. *Hybrid Regimes or Regimes in Transition?*), რაკლერის, მენოკალისა და ფრიტსის (Rakner, L; Menocal, A. & Fritz, V. 2007. *Democratisation's Third Wave and the Challenges of Democratic Deepening: Assessing International Democracy Assistance and Lessons Learned)* კასანის (Cassani, A. 2012/2013. *CITIZENS' WELLBEING IN COMPETITIVE AUTHORITARIAN REGIMES)* ჰიბრიდული რეჟიმისა და კონკურენტული ავტორიტარიზმის არსის, წარმოშობისა და ჩამოყალიბების შესახებ. ასევე გამოყენებულია ჯონსის (JONES, S. 2013. *DEMOCRACY IN GEORGIA: DA CAPO?)*, ლაზარუსის (Lazarus, J. 2010. *Neo-liberal State Building and Western 'Democracy Promotion': the case of Georgia)*, კაროტერსის (Carothers, T. *THE END OF THE TRANSITION PARADIGM)* ნაშრომები კონკრეტულად საქართველოს და მისი მმართველი რეჟიმების შესახებ საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდგომ.

გვის საფრთხეს, მკვეთრად ზრდის არჩევნების ფალსიფიკაციისკენ მიმართულ ძალისხმევას, სახელმწიფო რესურსები ბოროტად გამოიყენება თანამდებობის პირთა სასარგებლოდ.

ქვეყანაში არსებული კონკურენტული ავტორიტარიზმის ბუნება კარგად გამოჩნდა საქართველოს 20018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს, როდესაც საჭირო გახდა არჩევნების მეორე ტურის ჩატარება. არჩევნების პირველი ტური (28 ოქტომბერს) და მეორე ტური (28 ნოემბერს) ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა. არჩევნების პირველი ტური, მიუხედავად დარღვევებისა, დემოკრატიული სტანდარტების დაცვის თვალსაზრისით, უკეთესად ჩატარდა, მაგრამ როგორც კი გამოიკვეთა ხელისუფლების მიერ მხარდაჭერილი კანდიდატის, - სალომე ზურაბიშვილის, დამარცხების რეალური საფრთხე, მეორე ტურში ხელისუფლებამ მკვეთრად გაზარდა არჩევნების ფალსიფიცირების სხვადასხვა მეთოდების გამოყენება.

ჩვენი აზრით, კონკურენტული ავტორიტარიზმის რეჟიმის არსი საარჩევნო პერიოდში მკაფიოდ ჩანს ხელისუფლებისა და ოპოზიციის კანდიდატების ფინანსურ უთანასწორობაში და ასევე საარჩევნო სუბიექტების ქცევის ეთიკური კოდექსის შემუშავების და განხორციელების წარუმატებელ მცდელობებში.

არჩევნების გაყალბების სხვადასხვა მეთოდების, - ამომრჩეველთა მოსყიდვის, დაშინების, ყალბი ბიულეტინების ჩაყრის და ა. შ. თაობაზე დაუსრულებლად შეიძლება კამათი, ხელისუფლება ასეთი ფაქტების არსებობას უარყოფს და გამოძიებაც ჭიანურდება. რაც შეეხება საარჩევნო კამპანიისთვის მოზიდულ თანხებს, ის ღიაა და ოფიციალურად დაფიქსირებული.

საარჩევნო სუბიექტების ქცევის ეთიკური კოდექსი განსაზღვრავს იმ პრინციპებს, რომელთა შესრულებაც სამართლიანი არჩევნების ჩატარების გარანტიაა და რომელთა დაცვაც პრობლემატურია კონკურენტული ავტორიტარიზმის პირობებში.

სტატიაში სწორედ ეს ორი საკითხია განხილული საქართველოს 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს.

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები საქართველოში

კონსტიტუციის 2010 წლის რედაქციით საქართველო საპარლამენტო რესპუბლიკა გახდა. კონსტიტუციის 2017 წლის რედაქციით პრეზიდენტი შემდგომში პარლამენტმა უნდა აირჩიოს. ანუ 2018 წელს ქვეყანაში ბოლოჯერ ტარდებოდა პრეზიდენტის საყოველთაო-სახალხო არჩევნები (თუ რა თქმა უნდა, კონსტიტუცია კიდევ არ შეიცვალა). მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტის უფლებამოსილება კონსტიტუციურად მკვეთრად შეზღუდულია. პრეზიდენტის პოსტისთვის მძაფრი ბრძოლა გაიმართა. საპრეზიდენტო არჩევნებში ოპოზიციის კანდიდატის გამარჯვება აღქმული იქნებოდა როგორც „ქართული ოცნების“ პოზიციების შერყევა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ და სავარაუდოდ, გააერთიანებდა ოპოზიციას 2019 წელს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების მოთხოვნით.

მმართველ პოლიტიკურ ძალას, „ქართულ ოცნებას“ საპრეზიდენტო არჩევნებში თავისი კანდიდატი არ წამოუყენებია, მაგრამ მხარი დაუჭირა დამოუკიდებელ კანდიდატად დარეგისტრირებულ სალომე ზურაბიშვილს და ყველა ზომას მიმართა იმისათვის, რომ მას პრეზიდენტის პოსტი დაეკავებინა. ოპოზიცია კი, ტრადიციულად დაქსაქსული იყო და ვერ შეძლო საერთო კანდიდატზე შეჯერება.

2018 წლის 28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად დარეგისტრირდა 25 კანდიდატი (მათგან 19 წარდგენილი იყო პოლიტიკური პარტიის, ხოლო 6 საინიციატივო ჯგუფის მიერ).[2] პრეზიდენტობის პრეტენდენტების დიდი ნაწილი

[2] http://cesko.ge/geo/list/show/114936-2018-tslis-28-oqtombris-archevnebistvis-25-prezidentobis-kandidatia-registrirebuli

საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილი იყო და წარმატების რაიმე შანსი არც გააჩნდათ. ქვემოთ ცხრილში N 1 ნაჩვენებია იმ კანდიდატების შედეგები, რომელთავ არჩევნების პირველ ტურში ხმების 1%-ზე მეტი მიიღეს.

ცხრილი N 1

კანდიდატი	**პარტია**	**პირველი ტური 2018 წ. 28 ოქტომბერი**	**მეორე ტური 2018 წ. 28 ნოემბერი**		
		ხმები	**%**	**ხმები**	**%**
სალომე ზურაბიშვილი	დამოუკიდებელი	615,572	38.64	1,147,625	59.52
გრიგოლ ვაშაძე	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	601,224	37.74	780,635	40.48
დავით ბაქრაძე	ევროპული საქართველო	174,849	10.97		
შალვა ნათელაშვილი	საქართველოს ლეიბორისტული პარტია	59,651	3.74		
დავით უსუფაშვილი	შენების მოძრაობა	36,037	2.26		
ზურაბ ჯაფარიძე	გირჩი	36,034	2.26		
კახა კუკავა	თავისუფალი სა-	21,186	1.33		

	ქართველო			

საპრეზიდენტო არჩევნების კონკურენტულ ხასიათზე მეტყველებდა ის ფაქტი, რომ საჭირო გახდა არჩევნების მეორე ტურის ჩატარება და ხელისუფლების მხარდაჭერილ კანდიდატს სალომე ზურაბიშვილს მძაფრი კონკურენცია გაუწია ორმა ოპოზიციურმა კანდიდატმა - გრიგოლ ვაშაძემ და დავით ბაქრაძემ. აღსანიშნავია, რომ ეს ორი კანდიდატი წარმოადგენდა ყოფილ მმართველ პოლიტიკურ პარტიას „ნაციონალურ და მისგან გამოყოფილ პოლიტიკურ ძალას - „ევროპულ საქართველოს“. აღსანიშნავია, რომ მათ ორივემ ერთად ჯამში ხელისუფლების მიერ მხარდაჭერილ კანდიდატზე მეტი ხმა მიიღეს. პირველი ტურის შედეგების მიხედვით, სალომე ზურაბიშვილმა დაახლოებით 14 ათასი ხმით აჯობა „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატს გრიგოლ ვაშაძეს, რამაც „ქართული ოცნების“ შეშფოთება გამოიწვია. შედეგად, პირველ ტურთან შედარებით, საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინასაარჩევნო პერიოდი კიდევ უფრო მეტი პოლარიზებით და უფრო მეტად გამოხატული ნეგატიური კამპანიით ხასიათდებოდა.[3] თუ სადამკვირვებლო ორგანიზაციების ანგარიშებში წარმოდგენილი ფაქტების მიხედვით ვიმსჯელებთ, დარღვევებმა შემდეგი სახე მიიღო:

დარღვევის ხასიათი	დარღვევის ფაქტები
ძალადობრივი ინციდენტები	არჩევნების პირველი ტურის წინ ფიზიკური დაპირისპირების და ძალადობის ფაქტები თითქმის არ დაფიქსირებულა. მეორე ტურის

[3] 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინასაარჩევნო გარემოს შეფასება - 27 ნოემბერი, 2018 - https://www.transparency.ge/ge/post/2018-clis-saprezidento-archevnebis-meore-turis-cinasaarchevno-garemos-shepaseba

	წინ კი ამგვარ არაერთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი.
ზეწოლა/მუქარა	მე-2 ტურის წინ ფართოდ გავრცელდა ამომრჩევლებზე ზეწოლა, რაც ხორციელდებოდა მუნიციპალიტეტების, საჯარო დაწესებულებების თანამშრომლებზე, კერძო სექტორში დასაქმებულ პირებზე, სოციალურად დაუცველ და წარსულში ნასამართლევ ამომრჩევლებზე. ამ პირებს ძირითადად სალომე ზურაბიშვილის სასარგებლოდ ხმის მიცემისკენ მოუწოდებდნენ ან გრიგოლ ვაშაძის მხარდაჭერისთვის ემუქრებოდნენ. საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულები მათ მიმართ გათავისუფლების მუქარაზე საუბრობდნენ.
ამომრჩევლის მოსყიდვა	მეორე ტურის წინ გაიზარდა ამომრჩეველთა სავარაუდო მოსყიდვის ფაქტები. ზურაბიშვილის სასარგებლოდ ხმის მისაცემად ამომრჩევლებს სთავაზობდნენ თანხებს ან საკვებ პროდუქტებს. ამომრჩეველთა კეთილგანწყობის მოსაპოვებლად საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა 600 ათას მოქალაქისთვის „გაენულებინა“ 1,5 მილიარდი ლარის ფინანსური ვალდებულებები.
ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება	პირველი ტურის შემდეგ მასშტაბური სახე მიიღო საქართველოს მთავრობისა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მხრიდან სხვადასხვა სხვადასხვა სოციალური და ინფრასტრუქტურული პროექტების ინიცირებამ. გაჟღერდა სავარაუდოდ საარჩევნოდ მოტივირებული ინიციატივები ხელფასების ზრდის, სოციალური დახმარებების, საცხოვრებლით უზრუნველყოფის, ინფრასტრუქტურულ პროექტების დაწყებასთან დაკავშირებით, რომელთა შესახებაც არჩევნების პირველ ტურამდე ცნობილი არ ყოფილა.

	არჩევნების მეორე ტურამდე რამდენიმე დღით ადრე ცნობილი გახდა ინფორმაცია პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების სავარაუდო გაყალბებების შესახებ

სახელისუფლო და ოპოზიციის პრეზიდენტობის კანდიდატების უთანაბრო ფინანსური შესაძლებლობები

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით საარჩევნო სუბიექტებს შემოსავლების მიღება შემდეგი წყაროებიდან აქვთ ნებადართული: 1. სახელმწიფო დაფინანსება (რომელიც თავის მხრივ მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან პარტიისთვის პირდაპირ გადაცემულ თანხებს, არაპირდაპირ დაფინანსებას და გარკვეული ხარჯების ანაზღაურებას); 2. საწევრო შენატანები; 3. შემოწირულობები (მაქსიმუმ 60 000 ლარი ფიზიკური პირისგან, 120 000 ლარი იურიდიული პირისგან; 4. სიმბოლიკის დამზადებითა და გავრცელებით, ლექციების, გამოფენებისა და სხვა საჯარო ღონისძიებების მოწყობით, აგრეთვე, საწესდებო მიზნებიდან გამომდინარე საგამომცემლო და სხვა საქმიანობიდან მიღებული წლიური შემოსავალი; 5. საბანკო სესხი.

ქართულ რეალობაში დაფინანსების ამ წყაროებიდან ოპოზიციური კანდიდატებისათვის მთავარია ბიუჯეტიდან მიღებული თანხები, ხელისუფლების მიერ მხარდაჭერილი კანდიდატისთვის კი შემოწირულობები. იხ ცხრილი N 2

ცხრილი N 2

კანდიდატი	საარჩევნო თანხა	აქედან შემოწირულობა
სალომე ზურაბიშვილი	6.395.983	5.395.983
გრიგოლ ვაშაძე	1.471.939	718.767

დავით ბაქრაძე	1.298.850	616.283
დავით უსუფაშვილი	587.074	35.490
შალვა ნათელაშვილი	544.738	3.000

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროსაც მოზიდული ფინანსების ოდენობის თვალსაზრისით უპირატეს მდგომარეობაში აღმოჩნდა ხელისუფლების მიერ მხარდაჭერილი კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი. მის საარჩევნო კამპანიისთვის მობილიზებული თანხები მნიშვნელოვნად აღემატებოდა დანარჩენი კანდიდატების დაფინანსებას. აღსანიშნავია, რომ აღსანიშნავია, რომ სალომე ზურაბიშვილი სახელმწიფო დაფინანსებას არ იღებდა. 1 მლნ ლარი კი სესხი აიღო.

სახელისუფლო კანდიდატის ამგვარ უპირატესობას კერძო პირების და განსაკუთრებით ბიზნესის მიერ უხვად გაღებული შემოწირულობები უზრუნველყოფს. ბიზნესი, როგორც წესი, ხელისუფლების კანდიდატს აფინანსებს. ოპოზიცია ამას ხელისუფლების კერძო სექტორზე ზეწოლად მიიჩნევს, ხელისუფლების წარმომადგენლები კი უარყოფენ ამგვარ ბრალდებებს და ბიზნესის თავისუფლებაზე მიუთითებენ. თუმცა, მარტო ზეწოლის შესახებ ვერ ვილაპარაკებთ, ხელისუფლებას საარჩევნო პერიოდებში ბიზნესისაგან ფინანსური მხარდაჭერის მიღების სხვა გზაც გააჩნია. კერძოდ, ხელისუფლების მხარდამჭერი ბიზნესმენები რეგულარულად იმარჯვებენ სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულ ტენდერებში.

ჯამში პოლიტიკური პარტიებისა და დამოუკიდებელი კანდიდატების მიერ 2018 წლის 1 აგვისტოდან 28 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში საარჩევნო მიზნებისთვის დაიხარჯა 13 839 319 ლარი, რაც უთანაბროდ იყო განაწილებული პრეზიდენტობის კანდიდატებს შორის. იხ. ცხრილი N 3

ცხრილი N 3

კანდიდატი	არჩევნებში დახარჯული თანხა (ლარი)	პროცენტული წილი მთლიან თანხაში	რა დაუჯდათ ამომრჩევლის 1 ხმა
სალომე ზურა-ბიშვილი	6.351.949	45,89%	6.69 ლ
გრიგოლ ვაშაძე	1.133.536	8,19%	2.47 ლ
დავით ბაქრაძე	1.026.784	7,42%	5.04 ლ
დავით უსუფ-აშვილი	550.863	3,98%	5.22 ლ
შალვა ნათე-ლაშვილი	200.731	1,45%	3.17 ლ

კონკრეტულად მეორე ტურისთვის ორი კანდიდატის დაფი-ნანსებამ შეადგინა ჯამურად 7 047 160 ლარი, საიდანაც 5 513 493 ლარი სალომე ზურაბიშვილის სასარგებლოდ იყო მიმართული, გრიგოლ ვაშაძეს კი 1 533 667 ლარი ერგო. ანუ მეორე ტურისთვის კანდიდატების მიერ მობილიზებული თანხის 78,24% სალომე ზუ-რაბიშვილზე მოდიოდა, ხოლო 21,76% კი გრიგოლ ვაშაძეზე. რო-გორც უკვე აღინიშნა, ზურაბიშვილი სახელმწიფო დაფინანსებას არ იღებდა, შესაბამისად ზემოთაღნიშნული თანხა მთლიანად შე-მოწირულობების შედეგია, რომელთა უდიდესი ნაწილი ფულადი სახის იყო.

პირველსა და მეორე ტურს შორის შუალედში ზურაბიშვილს 60 000 ლარზე მეტი 25 პირმა გადაურიცხა. არის შემთხვევები, რო-დესაც კომპანიები და მათი მეწილეები თუ დირექტორები ცალ-ცალკე რიცხავდნენ თანხას. არჩევნების მეორე ტურის წინ „ქართუ-ლი ოცნების“ ლიდერის, ბიძინა ივანიშვილის დაფუძნებულმა „ფონდმა ქართუმ“ და აღმასრულებელი ხელისუფლების მაღალჩი-ნოსნებმა დააანონსეს ვალების ჩამოწერის პროგრამა, რომლის მი-

ხედვითაც ბანკების მიერ შავ სიაში მყოფი საქართველოს 600 000 მოქალაქეს, სახელმწიფო და „ფონდი ქართუ“ ერთობლივად ჩამოაწერდნენ 2 000 ლარამდე მოცულობის ვადაგადაცილებულ სესხს. აღნიშნული პროგრამა საზოგადოების დიდ ნაწილში შეფასდა, როგორც ხმების მოსყიდვა.

ასევე აღსანიშნავია „პატრიოტთა ალიანსის“ მიერ ჩატარებული ორი აქცია ბათუმსა და თბილისში, რომელიც საზოგადოებისა და ოპოზიციური სპექტრის ნაწილმა აღიქვა, როგორც რესურსების მიმართვა ზურაბიშვილისაკენ. აღსანიშნავია ასევე, მეორე ტურის პერიოდში შექმნილი სხვადასხვა ორგანიზაცია („არა ნაციზმს“, „არა ძალადობას“ და სხვ), რომლებიც მიზნად ისახავდა ოპოზიციის კანდიდატის დისკრედიტაციას.

ცხრილი N 4

	მეორე ტურის წინ მიღებული თანხა	რა დაუჯდა 1 ამომრჩევლის ხმა
სალომე ზურაბიშვილი	5.513.493	90.86 ლ
გრიგოლ ვაშაძე	1.533.667	1ლ

შეუძლებელია ფინანსური რესურსების თვალსაზრისით მსგავსი უთანასწორო გარემო, ზეგავლენას არ ახდენდეს ამომრჩევლის ქცევაზე და არჩევნებმა ასახოს ამომრჩეველთა რეალური განწყობა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ არჩევნების გაყალბების მრავალი მეთოდი, რომლის შესახებაც საუბარია არჩევნების დამკვირვებელთა ანგარიშებში, მოითხოვს მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსებს, რომლის მოზიდვაც ლეგალური გზებით არ ხდება და არ ფიქსირდება წინასაარჩევნო ოფიციალურ ხარჯებში.

პრეზიდენტობის კანდიდატების ქცევის ეთიკური პრინციპების განმსაზღვრელი დოკუმენტის შემუშავების პროცესი

საქართველოს 2018 წლის 28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების წინ პრეზიდენტობის კანდიდატების ქცევის ეთიკური პრინციპების დოკუმენტის შემუშავების ინიციატივა ეკუთვნოდა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას[4], თუმცა ცესკომ დასახმარებლად მიმართა შვეიცარიის საელჩოს საქართველოში და პრეზიდენტობის კანდიდატებს აღნიშნული დოკუმენტის შემუშავების ინიციატორად სწორედ შვეიცარიის საელჩო მიაჩნდათ.[5] რადგანაც საპარლამენტო არჩევნების წინ ეთიკური კოდექსების შემუშავების მცდელობები წარუმატებელი აღმოჩნდა და საპრეზიდენტო არჩევნებამდეც ცოტა დრო რჩებოდა, შვეიცარიის საელჩო და ცენტრალური საარჩევნო კომისია შეთანხმდნენ, რომ შეემუშავებინათ და კანდიდატებისთვის შეეთავაზებინათ არა დეტალური კოდექსი, არამედ ქცევის ზოგადი პრინციპები, რომელთა თაობაზეც, სავარაუდოდ, თანხმობის მიღწევა უფრო მოხერხდებოდა.[6]

2018 წლის აგვისტოში დაიწყო პრეზიდენტობის კანდიდატების დამოკიდებულების შესწავლა ეთიკური ქცევის პრინციპების განმსაზღვრელ დოკუმენტთან დაკავშირებით, რადგანაც მათი უარყოფითი დამოკიდებულების დაფიქსირების შემთხვევაში, აზრი ეკარგებოდა ასეთი დოკუმენტის შემუშავებას. პრეზიდენტობის კანდიდატების გამოკითხვაში მონაწილეობდნენ შვეიცარიის საელჩოს წარმომადგენელი (შალვა ცხაკაია) და ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი. არ შემდგარა ერთიანი შეხვედრა, სადაც ყველა საარჩევნო სუბიექტი მიიღებდა მონაწილეობას. პრეზიდენტობის კან-

[4] ინტერვიუ შალვა ცხაკაიასთან 18.11.2018

[5] იხ. ინტერვიუები: ლევან ბეჟაშვილთან (15.11.2018), დავით ბაქრაძესთან (12.11.2018), ირაკლი კიკნაველიძესთან (13.12.2018)

[6] ინტერვიუ შალვა ცხაკაიასთან 18.11.2018

დიდატებთან ან მათ წარმომადგენლებთან შეხვედრები იმართებოდა ცალ-ცალკე.[7] გაიმართა 11 ძირითადი შეხვედრა.

ამ პერიოდში რეგისტრაცია არ იყო დამთავრებული. ამასთან რეგისტრირდებოდა ბევრი ისეთი კანდიდატიც, რომლებიც საზოგადოებისთვის ფაქტობრივად უცნობი იყო და არანაირი შანსი არჩევნებში წარმატებისა არ გააჩნდათ. აქედან გამომდინარე, გაჩნდა მოსაზრება, თუ რამდენად მიზანშეწონილი იყო ამ კანდიდატების მონაწილეობა ეთიკური ქცევის პრინციპების დოკუმენტის შემუშავების პროცესში, მაგრამ ვინაიდან, თითოეული მათგანი სამართლებრივად და პროცედურულად კანდიდატი იყო, დისკრიმინაცია იქნებოდა რომელიმე რომელიმე მათგანის გამორიცხვა.[8]

სექტემბრის დასაწყისში ყველა ძირითადმა კანდიდატმა თანხმობა გამოთქვა წინასაარჩევნო ეთიკური ქცევის პრინციპების ამსახველი დოკუმენტის ხელმოწერაზე და ხაზი გაუსვა მსგავსი დოკუმენტის შექმნის აუცილებლობას. საპრეზიდენტო კანდიდატების ეს თანხმობა მუშაობის შემდგომი გაგრძელების საფუძველი გახდა. დაიწყო ეთიკური პრინციპების დოკუმენტის ტექსტზე მუშაობა, სადაც ჩართული იყო ყველა ძირითადი პარტიის წარმომადგენელი.[9] დოკუმენტს იმდენად ზოგადი ხასიათი ჰქონდა, რომ ძნელი წარმოსადგენი იყო რომელიმე კანდიდატს უარი ეთქვა მასზე ხელის მოწერაზე. ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თამარ ჟვანიას განცხადებით, აღნიშნული დოკუმენტი ხელს შეუწყობდა საარჩევნო პროცესისა და საარჩევნო კულტურის განვითარებას, ქვეყნისა და ამომრჩევლებისადმი პატივისცემას.

---

[7] იხ. ინტერვიუები: ლევან ბეჟაშვილთან (15.11.2018), დავით ბაქრაძესთან (12.11.2018), ირაკლი კიკნაველიძესთან (13.12.2018)

[8] იხ. ინტერვიუები: ლევან ბეჟაშვილთან (15.11.2018), დავით ბაქრაძესთან (12.11.2018), ირაკლი კიკნაველიძესთან (13.12.2018)

[9] შვეიცარიის საელჩოს წარმომადგენელი ქცევის ეთიკური წესების დოკუმენტის შემუშავების პროცესში. ინტერვიუ შალვა ცხაკაიასთან.18.11.18.

ეთიკური ქცევის ძირითადი პრინციპების განმსაზღვრელი დოკუმენტი აყალიბებდა იმ წესებს, რომელთა დაცვასაც ხელი უნდა შეეწყო მშვიდობიან საარჩევნო გარემოსა და პოლიტიკური კულტურის ამაღლებისთვის. ეთიკის დოკუმენტზე ხელმომწერი კანდიდატები თანხმდებოდნენ, რომ:

- პატივს სცემენ და აღიარებენ კანონის უზენაესობას, იმოქმედებენ საქართველოს კონსტიტუციის, კანონმდებლობის, დემოკრატიული მმართველობის პრინციპებისა და საზოგადოების ინტერესების დაცვით;

- საქმიანობას აწარმოებენ ეთნიკური, რელიგიური, გენდერული თუ სხვა ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე;

- არ გამოიყენებენ სიძულვილის ენას, ქსენოფობიურ ან მუქარის შემცველ გამონათქვამებს;

- ხელს შეუწყობენ მშვიდობიან საარჩევნო გარემოს, არ მიმართავენ ძალადობას და არ მოუწოდებენ მისი გამოყენებისკენ.

- წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვისას ხელს არ შეუშლიან კონკურენტების წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიებებსა და სააგიტაციო მასალების გავრცელებას;

- განზრახ არ გაავრცელებენ ყალბ ინფორმაციას სხვა კანდიდატების შესახებ;

- აწარმოებენ ინკლუზიურ საარჩევნო კამპანიას, რომელში ჩართვის შესაძლებლობაც თანაბრად ექნებათ ქალებს, ახალგაზრდებს და მოწყვლად(დაუცველ/ნაკლებად დაცულ) ჯგუფებს;

- არ გამოიყენებენ ადმინისტრაციულ რესურსებს, არ ეცდებიან ამომრჩევლების მოსყიდვას და მათ დაშინებას;

- აწარმოებენ საგნობრივ, პროგრამაზე და გეგმებზე დამყარებულ დებატებს და თავს შეიკავებენ პიროვნული შეურაცხყოფისაგან.[10]

ზემოთ აღნიშნული პრინციპების ნაწილი გათვალისწინებულია საარჩევნო კოდექსითაც (საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-6 თავი, რომელიც წინასაარჩევნო კამპანიას არეგულირებს) და მათი დარღვევა კანონითაა აკრძალული[11], მაგრამ სამართლიანი არჩევნების ჩატარების პირობების ეთიკური ქცევის პრინციპებად მიჩნევა და ნებაყოფლობითი დაცვა მკვეთრად აუმჯობესებს საარჩევნო გარემოს.

შვეიცარიის ელჩმა საქართველოში ლუკას ბეგლინგერმა განაცხადა, რომ ეთიკის პრინციპების დოკუმენტი მნიშვნელოვანი ნაბიჯია საქართველოს დემოკრატიული განვითარების პროცესში, ვინაიდან, შესაძლებლობას იძლევა შეცვალოს პოლიტიკური კულტურა, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს წინასაარჩევნო პერიოდში ოპონენტებზე თავდასხმის ნაცვლად, არსებითი საკითხების შესახებ დებატებსა და დისკუსიაზე ორიენტირებულ საარჩევნო კამპანიის ჩატარებას.[12]

---

[10] http://cesko.ge/geo/list/show/115188-2018-tslis-28-oqtombris-saprezidento-archevnebshi-monatsile-kandidatebis-etikis-printsipebis-prezentatsia

[11] საქართველოს საარჩევნო კოდექსის მუხლი 47 თანახმად ამომრჩეველთა მოსყიდვის შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილებით საარჩევნო სუბიექტს რეგისტრაცია უუქმდება. მუხლი 49 კრძალავს საბიუჯეტო თანხების, თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებას საარჩევნო მიზნებით. მუხლი 45 კრძალავს ძალადობის პროპაგანდას და ძალადობრივ ქმედებებს, რელიგიური და ეთნიკური შუღლის გაღვივებას და ა. შ.

[12] http://cesko.ge/geo/list/show/115188-2018-tslis-28-oqtombris-saprezidento-archevnebshi-monatsile-kandidatebis-etikis-printsipebis-prezentatsia

მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტობის ყველა კანდიდატის მხრიდან წინასწარ დადასტურებული იყო თანხმობა, საბოლოოდ ეთიკური პრინციპების დოკუმენტს ხელი მოაწერა 22-მა. სამმა კანდიდატმა, სალომე ზურაბიშვილმა, შალვა ნათელაშვილმა და ოთარ მეუნარგიამ ხელი არ მოაწერეს ქცევის ეთიკური პრინციპების დოკუმენტს.

შვეიცარიის საელჩოს წარმომადგენელმა, შალვა ცხაკაიამ აღნიშნა, რომ სალომე ზურაბიშვილისა და შალვა ნათელაშვილის შტაბებთან იყო წინასწარი შეხვედრები. ტექსტთან დაკავშირებით წინააღმდეგობა და შენიშვნები არ ყოფილა. შესაბამისად, სურვილი გამოთქვეს ხელი მოეწერათ აღნიშნული დოკუმენტისათვის, თუმცა საბოლოოდ პრინციპულად არ შეუერთდნენ დოკუმენტს.[13] თუ რომელიმე ოპოზიციური კანდიდატი უარს ამბობდა ხელი მოეწერა ეთიკური ქცევის პრინციპების დოკუმენტზე, ამას აკეთებდა პროტესტის ნიშნად, აღნიშნავდნენ, რომ ხელისუფლება მაინც დაარღვევდა ეთიკური ქცევის პრინციპებს. თუმცა, ხელისუფლების მიერ მხარდაჭერილი კანდიდატის მიერ დოკუმენტის ხელმოწერაზე უარის თქმა მეტად არაორდინალური ფაქტი იყო. მაგრამ ამისათვის წინასაარჩევნო პერიოდში ყურადღება არ მიუქცევიათ.

პრეზიდენტობის კანდიდატები ეთიკური ქცევის პრინციპების დოკუმენტის ხელმოწერასთან ერთად, პირად საუბრებში სკეპტიკურად იყვნენ განწყობილი შეთავაზებული დოკუმენტის შესრულებასთან და მასში აღიარებული პრინციპების დაცვასთან დაკავშირებით. ისინი თვლიდნენ, რომ რეალური საარჩევნო პროცესი დეკლარირებული პრინციპებისგან შორს იქნებოდა. არჩევნების დამთავრების შემდეგ კი აღნიშნავდნენ, რომ ეთიკური საარჩევნო კამპანიის წარმართვა კვლავ ვერ მოხერხდა.

ასახელებდნენ ამის განმაპირობებელ მიზეზებსაც. მათ შორის უმთავრესად ალბათ უნდა მივიჩნიოთ ის, რაც პრეზიდენტობის

[13] ინტერვიუ შალვა ცხაკაიასთან. 18.11.18.

ერთ-ერთმა კანდიდატმა აღნიშნა: ქვეყანაში არსებული პოლიტიკური კულტურის პირობებში ეთიკის კოდექსებს ნაკლები ყურადღება ექცევა როგორც პოლიტიკოსების, ისე საზოგადოების და ჟურნალისტების მხრიდან.[14] საზოგადოება ჯერ-ჯერობით ნაკლებად მომთხოვნია პოლიტიკოსების მიერ ეთიკური ქცევის წესების დარღვევის ფაქტებისადმი და ასეთ პირობებში რიგი პოლიტიკოსებიც დიდად არ დაეძებენ ეთიკის პრინციპების დაცვას.

დასკვნა

კონკურენტული ავტორიტარიზმი საარჩევნო პერიოდებში მკაფიოდ ვლინდება საარჩევნო სუბიექტების ფინანსურ უთანასწორობაში, რაც ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია არსებული მმართველი მმართველი ჯგუფის მიერ სახელისუფლო პოზიციების შესანარჩუნებლად.

კონკურენტული ავტორიტარიზმიდან ელექტორალურ დემოკრატიაზე გადასასვლის ერთ-ერთ პირობად უნდა მივიჩნიოთ შესაძლებლობების მეტ-ნაკლებად გათანასწორება. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია საარჩევნო სუბიექტების სახელმწიფო დაფინანსების წესის შენარჩუნება და სრულყოფა. მის გარეშე ოპოზიცია, ფაქტობრივად, დაფინანსების გარეშე დარჩებოდა. ასევე აუცილებელია საარჩევნო სუბიექტების მიერ შემოწირულობათა მიღების წესის დარეგულირება, კანონით დაწესებული შემოწირულობათა დღეს არსებული მაქსიმალური ზღვარის შემცირების თვალსაზრისით.

კონკურენტული ავტორიტარიზმის დროს არჩევნების უსამართლობას მნიშვნელოვანწილად განაპირობებს საარჩევნო კამპანიის ხასიათი, რომელიც მრავალი დარღვევის, დაშინების, ძალადობის, მოსყიდვის, დისკრედიტაციის მცდელობის პირობებში მიმდინარეობს. ეს ყოველივე ნიშნავს არა მხოლოდ საარჩევნო კანონმდებ-

[14] ინტერვიუ დავით ბაქრაძესთან. 12.11.18.

ლობის, არამედ პირველ რიგში ეთიკური ქცევის პრინციპების დარღვევასაც.

რაც შეეხება წინასაარჩევნო ქცევის ეთიკური კოდექსის შემუშავებას, ის უნდა დაიწყოს არა უშუალოდ არჩევნების წინ, როგორც ეს აქამდე ხდებოდა, არამედ გაცილებით ადრე, რათა მოხერხდეს მისი ძირითადი პრინციპების შეთანხმება და კოდექსის შემუშავების პროცესში საზოგადოებისა და მედიის ყურადღების მიქცევა პოლიტიკური ქცევის ეთიკური სტანდარტებისადმი.

გამოყენებული ლიტერატურა:

- *ვინ არიან და რომელი სარჩევნო ნომრით დარეგისტრირდნენ პრეზიდენტობის კანდიდატები.* 23 სექტემბერი, 2018. https://imedinews.ge/ge/saqartvelo/78501/vin-arian-da-romeli-saarchevno-nomrit-daregistrirdnen-prezidentobis-kandidatebi
- *არჩევნების მეორე ტური და საერთაშორისო დამკვირვებლების მკვეთრი წინასწარი შეფასებები.* 29 ნოემბერი, 2018. https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%94-%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9D-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%99%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%99%E1%83%95%E1%83%94%E1%83%97%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%A1

%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/29628549.html

- ორჯონიკიძე. თ. 2018. *პოლიტიკური პარტიების დაფინანსება საქართველოს 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს* file:///C:/Users/User/Downloads/47-219-1-PB%20(2).pdf
- ტყეშელაშვილი. შ. *ვის რა დაუჯდა ერთი ხმა.* Forbes GEORGIA (2018, დეკემბერი) გვ.28-29

Natia Zedginidze

Tamar Orjonikidze

The Presidential Elections of 2018 in Georgia: Anatomy of Competitive Authoritarianism

Abstract

There Is discussed the results of Presidential elections of 2018 year in Georgia on the bases of Anatomy of Competitive Authoritarianism. In particular, there are shown two important aspects of the sense of competitive authoritarianism: Inequality of government and opposition in terms of attracting election finance and an unsuccessful attempt to develop a document reflecting the ethical principles of behavior of election subjects during the election campaign.

The article is prepared on the basis of electronic and printed media materials regarding the election campaign finances, as well as interviews with people involved in development of the ethical principles presidential candidates behavior.

Keywords: Georgia, Competitive Authoritarianism, Elections, Democratization.